პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 146 (19887) ხუთშაბათი, 25 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა ტაჯიკეთი

ისტორიისათვის დროის არცთუ ისე დიდი მონაკვეთი გავიდა მას შემდეგ, რაც ტაჯიკეთს — ამ მიყრუებულ, ღარიბ განაპირა მხარეს — საკუთარი წარმოების ლურსმანიც კი არ ჰქონდა და მკვიდრი მოსახლეობაც უკიდურეს სიდუხჭირეს განიცდიდა.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის ცხოველმყოფელმა შუქმა გაიცისკროვნა მისი მომავალი, კეთილდღეობის, გიგანტური წინსვლისა და ყოველმხრივი აყვავების ასპარეზი გადაუშალა აქაურ მშრომელებს. ამუამად ტაჯიკეთს — თანასწორთა შორის თანასწორ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — განვითარებული მრეწველობა და თანამედროვე სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა აქვს.

ახლა რესპუბლიკაში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივნვრის პლენუმების სახელმძღვანელო გადაწყვეტილებათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის.

დღევანდელ ნომერში რუბრიკით — „სსრ კავშირი: ძმობის მისამართები" — გთავაზობთ მასალათა ნაკრებს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის შესახებ.

ცნობა

საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ იმ მასალების მიხედვით (მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების გარდა), რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან.

კვირას, 1987 წლის 21 ივნისს, გაიმართა საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის, მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

ყველა საარჩევნო უბანში კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნებმა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების ნიშნით ჩაიარა. საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი მონოლითური შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩეული არიან სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, 65 რაიონული საბჭოს, 61 საქალაქო საბჭოს, ქალაქების 12 რაიონული საბჭოს, 48 სადაბო და 942 სასოფლო საბჭოს დეპუტატები. საქალაქო საბჭოს არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა დეპუტატობის კანდიდატის შეუფერებელი საქციელის გამო.

საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობდნენ ამომრჩევლები (აბსოლუტური ციფრებით და პროცენტობით):

საოლქო საბჭოსი — 62449, ანუ 99,98 პროცენტი;
რაიონული საბჭოებისა — 1844918, ანუ 99,99 პროცენტი;
საქალაქო საბჭოებისა — 1811351, ანუ 99,99 პროცენტი;
ქალაქების რაიონული საბჭოებისა — 897251, ანუ 99,98 პროცენტი;
სადაბო საბჭოებისა — 136333, ანუ 99,97 პროცენტი;
სასოფლო საბჭოებისა — 1483265, ანუ 99,99 პროცენტი;

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან ხმა მისცეს ამომრჩევლებმა (აბსოლუტური ციფრებით და პროცენტობით):

საოლქო საბჭოსი—62358, ანუ 99,85 პროცენტმა;
რაიონული საბჭოებისა — 1844827, ანუ 99,99 პროცენტმა;
საქალაქო საბჭოებისა — 1810181, ანუ 99,93 პროცენტმა;
ქალაქების რაიონული საბჭოებისა — 896807, ანუ 99,95 პროცენტმა;
სადაბო საბჭოებისა — 136241, ანუ 99,93 პროცენტმა;
სასოფლო საბჭოებისა — 1482763, ანუ 99, 97 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატთა წინაალმდეგ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან ხმა მისცეს ამომრჩევლებმა (აბსოლუტური ციფრებით და პროცენტობით):

საოლქო საბჭოსი — 81, ანუ 0,13 პროცენტმა;
რაიონული საბჭოებისა — 81, ანუ 0,04 პროცენტმა;
საქალაქო საბჭოებისა — 1152, ანუ 0,06 პროცენტმა;
ქალაქების რაიონული საბჭოებისა — 444, ანუ 0,05 პროცენტმა;
სადაბო საბჭოებისა — 92, ანუ 0,07 პროცენტმა;
სასოფლო საბჭოებისა — 502, ანუ 0,03 პროცენტმა.

სასოფლო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არ იქნენ არჩეულნი.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად (მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების გარდა) არჩეულია 49484 დეპუტატი; ისინი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან.

დეპუტატთა შორის არიან.

სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — 21263, ანუ 43 პროცენტი;
უპარტიონი — 28221, ანუ 57 პროცენტი;
საკავშირო ალკკ წევრები — 11453, ანუ 23,1 პროცენტი;
მუშები — 19973, ანუ 40,4 პროცენტი;
კოლმეურნეები — 13820, ანუ 27,9 პროცენტი;
ქალები — 25062, ანუ 50,6 პროცენტი.
16873 დეპუტატი, ანუ 34,1 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების შემადგენლობა 61,5 პროცენტით განახლდა.

წითელწყაროსა და ოჩამჩირის რაიონებში ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მოეწყო ექსპერიმენტის წესით მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით. ორივე რაიონში შეიქმნა რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების არჩევნების 374 საარჩევნო ოლქი წინათ არსებული 1498 საარჩევნო ოლქის ნაცვლად. არჩევნებში მონაწილეობდნენ ამომრჩევლები:

რაიონული საბჭოებისა — 70349, ანუ 99,93 პროცენტი;
საქალაქო საბჭოებისა — 19049, ანუ 99,94 პროცენტი;
სასოფლო საბჭოებისა — 51302, ანუ 99,93 პროცენტი.

ყველა საფეხურის სასოფლო საბჭოებში არჩეულია სულ 1881 დეპუტატი, მათ შორის 383 სარეზერვო. სასოფლო საბჭოების არჩევნების 5 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არ იქნენ არჩეულნი.

დეპუტატთა შორის არიან:

სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — 745, ანუ 49,7 პროცენტი;
უპარტიონი — 753 ანუ 50,3 პროცენტი;
საკავშირო ალკკ წევრები — 290 ანუ 19,4 პროცენტი;
მუშები — 317, ანუ 21,2 პროცენტი;
კოლმეურნეები — 820 ანუ 54,7 პროცენტი;
ქალები — 764, ანუ 51 პროცენტი;
449 დეპუტატი ანუ 30 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

დეპუტატთა შემადგენლობა 70,8 პროცენტით განახლდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 23 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება „ვიწრო ადგილების" ლიკვიდაციის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, რომლებიც ალმატებენ რესპუბლიკის გაერთიანებებსა და საწარმოებში 1986-1990 წლებში პროდუქციის წარმოების განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. აღინიშნა, რომ პროგრამის ცალეული დავალებანი არ შესრულებულა, არ რეალიზებულია მხოლოდ ნაწილობრივ. იმ სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც ვერ შეასრულეს 1986 წლის დავალებანი, წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ჩამორჩენის ლიკვიდაცია 1987-1988 წლების განმავლობაში. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა ორგანოებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ (განიხილა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სამეურნეო ანგარიშისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვისათვის პარტიის ყვარლის რაიკომის ორგანიზატორული მუშაობის საკითხი და იგი არადამაკმაყოფილებლად ცნო. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს სამეანო-გინეკოლოგიური და პედიატრიული სამსახურის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად აფხაზეთის სსრ პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი. ნაკლოვანებებში ბრალეულ პირთ დაედოთ პარტიული სასჯელები. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ღრმად გაანალიზონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობა და დასახონ მისი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დაბა იკანბიაში, ტიუმენის ოლქსა და ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ სლავუტიჩში მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და გაერთიანება „თბილისქალაქმშენის" მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ხუთ თვეში რესპუბლიკის გარეთ ობიექტების მშენებლობაზე დაშვებულია სერიოზული ჩამორჩენა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, გაერთიანება „თბილისქალაქმშენის", ამ გაერთიანების № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით მეტად არადამაკმაყოფილებლად ცნეს. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღინიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებს დაევალა იკისრონ პირადი პასუხისმგებლობა რესპუბლიკის გარეთ მშენებლობებზე დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და 1987 წლის საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის ამომწურავ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მოისმინეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივნის ი. ჭელიძის ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა, რათა გაზარდოს აპარატის კომუნისტთა როლი და პასუხისმგებლობა დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, შინაგან საქმეთა ორგანოებში დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად ბრძოლის მდგომარეობისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა: იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულმა კომიტეტმა განახორციელა მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა, კომუნისტთა პასუხისმგებლობის გადიდების ღონისძიებანი, ბევრი მწვავე პრობლემა კვლავინდებურად გადაუჭრელი რჩება. სამინისტროს პარტკომს დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს აპარატის სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფაზე პარტიული გავლენის შემდგომი გაძლიერების. დამატებითი ღონისძიებანი. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიასა და პოლიტიკურ განყოფილებას პარტიულ კომიტეტებთან ერთად დაევალათ უზრუნველყონ, რომ განუხრელად შესრულდეს პარტიის მოთხოვნები შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის, კანონიერების უმკაცრესი დაცვის, სამსახურებრივი მოვალეობის პატიოსანი და უკომპრომისო შესრულების სულისკვეთებით პირადი შემადგენლობის აღზრდის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხზეც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

საწარმოო გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატის" მეთაურ საწარმოში — თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. აქ, თითოეულ საამქროში, უბანზე იღვწიან საუკეთესო შედეგების მოპოვებისათვის. ქარხნის კოლექტივმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა წლის განვლილი ხუთი თვე.

წარმოების ზრდის ტემპმა შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 106,5 პროცენტი შეადგინა.

თავდადებით საქმიანობს მეორე საამპულე საამქროს კოლექტივი.

* * *

სურათზე: საამპულე საამქროს წუნმდებელი ე. ილურიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ქვეყნის სოციოლოგთა მრგვალი მაგიდა

ახლა სოციალური ცხოვრების დაჩქარება მიმდინარეობს, როგორც იტყვიან, „ჩვენ თვალწინ". საზოგადოებრივი ინტერესები, საბჭოთა საზოგადოების კოლექტიური ნება იმპულს აძლევს რევოლუციურ გარდაქმნებს, რომელთა დიაპაზონი საყოველთაოდ ცნობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, უკანასკნელი პერიოდის სხვა ფუძემდებელი გადაწყვეტილებების მიხედვით. და, რა თქმა უნდა, სამეურნეო მექანიზმის, ჩვენი საზოგადოების სულიერი სფეროს გარდაქმნა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს სოციოლოგიური კვლევის აქტუალურობასა და მართვის პრაქტიკაში მეცნიერული ანალიზის მონაცემების გამოყენებას. დღეს ხომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიაროთ ახალ სოციალურ მოვლენათა ცხელ კვალზე, მოვახდინოთ მათი განვითარების პროგნოზირება.

სოციოლოგიური გამოკვლევების ორგანიზაციის სრულყოფისა და მათი შედეგების გამოყენების ეფექტიანობის გადიდების საკითხებს განიხილავს საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც 24 ივნისს გაიხსნა თბილისში. იგი მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა და საბჭოთა კავშირის სოციოლოგიურმა ასოციაციამ. მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები, პარტიული მუშაკები, მთელი ქვეყნის სხვადასხვა უწყებისა და საწარმოს სოციოლოგიური სამსახურების წარმომადგენლები.

კონფერენციის პლენარ ულ სხდომა გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის საქმე დარბაზში.

მოხსენება „გარდაქმნის პიროობებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში საზოგადოებრივი აზრის" გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. ნ. ივანოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა თემას „სოციოლოგიურ გამოკვლევათა როლი საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში". წაიკითხეს სხვა მოხსენებებიც.

კონფერენცია სამ დღეს გასტანს და დამთავრდება მრგვალ მაგიდასთან დისკუსიით, რომელიც ეძღვნება საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გათვალისწინების ამოცანებს. (საქინფორმი).

სოფლისათვის ტექნიკის განვითარებას — ახალი იმპულსი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა მოითხოვს, რომ როტორც რესპუბლიკურმა, ისე საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა შეასრულონ ღონისძიებათა ფართო კომპლექსი. ეს ითქვა ივნისის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი. ხაზგასმით აღინიშნა: იმისათვის, რომ მთელი ყურადღება მივაპყროთ მუშაობის მთავარ მიმართულებებს, ზუსტად გავაუქმოთ და ოპერატიულად გადავწყვიტოთ ბრსებული პრობლემები, საჭიროა როგორც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, ისე დარგების შტაბებმა განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საქართველოს ინდუსტრიული საწარმოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ორმხრივ ღონისძიებათა მომზადებისათვის ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციას მიეძღვნა რესპუბლიკაში მთელი რიგი საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ჩამოსვლა.

21-22 ივნისს საქართველოში იყო სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ა. ა. ეფეევსკი. იგი ეწვია საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის ქარხანას", სოფელ გეგუთში მშენებარე სამთო მიწათმოქმედების ტრაქტორებისა და მანქანების ქარხანას, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის" ქარხანა „საქსოფლმანქანას", დაინტერესდა, თუ რა პრობლემები აწუხებთ შრომითს კოლექტივებს, როგორია წარმოების მუშაკთა მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ამოცანებს.

დარგის საწარმოების მუშაობის გაცნობის დროს ღრმად გაანალიზეს საქმის ვითარება ადგილებზე, განსაზღვრეს მათი ტექნიკური განახლების ყოველმხრივი დაჩქარების, პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების გზები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონკრეტულ პრობლემებს, რომლებიც აფერხებს მუშაობის დაჩქარებას, წარმოების საქმიანობის გარდაქმნას პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით.

საწარმოების ხელმძღვანელებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან საუბრებში ითქვა, რომ რესპუბლიკაში სისტემატურად ხორციელდება ახალი თანამედროვე ტექნიკით სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღჭურვის გადიდების ღონისძიებანი. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანა". საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა", რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი. მაგალითად, ქუთაისში უკვე შეიქმნა „სუპერ-610" 10 ათასი მოტობლოკის გამოშვების სიმძლავრენი, ათვისებულია გეგუთში საწარმოს მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი 2,75 მილიონი მანეთი, ქარხანა „სოფლმანქანაში" იქმნება სიმძლავრენი და მიმდინარეობს წარმოების ტექნოლოგიური მომზადება მოტობლოკების ძრავების გამოსაშვებად.

ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოლიანად ვერ კმაყოფილდება აგროსამრეწველო კომპლექსის მოთხოვნილებანი დიდმწარმოებლურ და საიმედო ტექნიკაზე. მაგალითად, საქართველოს მიწათმოქმედებაში სამუშაოთა მექანიზაციის დონე საშუალოდ არ აღემატება 60 პროცენტს.

შეუწყარებლად ნელი ტემპით ითვისებენ ქუთაისში მოტობლოკების წარმოების ამოქმედებულ სიმძლავრეებს. დღემდე საექსპლოატაციოდ არ გადაუცია ალუმინის სხმულისა და გალვანური დაფარვის წარმოებები, არ დამთავრებულა კარტერების მექანიკური დამუშავების ხაზზე ასამუშავებელ-გასამართავი სამუშაოები. ჯიხურდება წარმოების მომზადება 02ტს კლასის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებზ დამოსაშვებად. ვადების მნიშვნელოვანი ჩამორჩენით იქმნება სიმძლავრენი ქარხანა „საქსოფლმანქანაში". საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნისა" და ქარხანა „საქსოფლმანქანის" სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობა კი უარიგდებიან არსებულ ნაკლოვანებებს, არ ებრძვნენ სათანადო მებრძოლურობას, თანამიმდევრულობასა და პრინციპულობას შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ საჭიროა დაიხვეწოს წარმოების მართვა, ყოველნაირად გაიზარდოს მისი ეფექტიანობა და გაუმჯობესდეს მუშაობის ხარისხი, უფრო სრულად გამოიყენონ ზექმნილი პოტენციალი, განამტკიცონ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა.

ა. ა. ეფეევსკისთან ერთად იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

* * *

ადგილებზე საქმის ვითარების შესწავლის, შრომითს კოლექტივებში შეხვედრების შემდეგ დარგის საარსებო პრობლემების, მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ სკკ-ბაასი გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. სხდომაზე საფუძვლიანად გაანალიზეს აგროსამრეწველო კომპლექსის მექანიზაციის საშუალებათა წარმოების სიმძლავრეთა უსწრაფესად შექმნასა და ათვისებაში. მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ის, რომ გაზარდონ საწარმოოთა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების გადაწყვეტაში, წარმოების ტექნიკური დონის სრულყოფის, საგეგმო დავალებათა უთუო შესასრულებლად კომუნისტთა დარაზმის საკითხებში.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომაზე მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ერთობლივი დადგენილება, რომლის მიზანია დაჩქაროს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღჭურვა მექანიზაციის საშუალებებით. (საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოველდღიური ფოსტას ვეცნობოდი, განსაკუთრებული ყურადღებით წავიკითხე ორჯონიკიძეებადიდან გამოგზავნილი ცნობა. აქ ახლებურად გაუმართავთ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის არჩევნები. ამ პასუხსაგებ პოსტზე პირველად მისცეს რეკომენდაცია ორ კანდიდატს. ორივენი საქმიანი, კომპეტენტური მუშაკია, მაგრამ გულახდილი, პრინციპული განხილვის დროს გამოიჩკვა, რომ დეპუტატებმა ამჯობინეს ის, რომელმაც თავი გამოიჩინა არა მარტო მეურვის ალღოთი და თაოსნობით, არამედ აგრეთვე უნარით — ამყარებდეს ურთიერთობას ადამიანებთან, ქვაკუთხედად აყენებდეს ადამიანის ფაქტორს.

თითქოს, კერძო ფაქტია, მაგრამ უადრესად ნათლად გამოხატავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის სულისკვეთებას, რომელზეც გაიხმა მოწოდება: მეტი დემოკრატია, მეტი სინათლე!

ჩვენ ვისწრაფვით პრაქტიკული საქმეების ენაზე ავამეტყველოთ ეს ფორმულა. ზოგიერთი პოზიტიური ძვრა საბჭოების მუშაობაში აშკარად იგრძნობა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ არის საკმარისი. რესპუბლიკის ხელისუფლების არჩევითი ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად იჩენს თავს ინერცია. ვერა და ვერ შელევიან ძველ გზას. მაგრამ ამასაც მოევლება, ვისწავლით დემოკრატიას უველანი ერთად, ამასთან გვეხსომება, რომ ამ ლენინურ სკოლაში სწავლის კურსი მთელი სიცოცხლე გრძელდება.

გარდაქმნა ოქტომბრის საქმის უშუალო განგრძობაა, და ამიტომაც არის, რომ მისი 70 წლისთავის წინ ჩვენ არა მარტო ვაჯამებთ გამოვლილი გზის შედეგებს, არამედ განვსაზღვრავთ კიდეც ახალ მიჯნებს, ვუდარებთ ჩვენს ნაბიჯს იმათ ძლევამოსილ წინსვლას, ვინც დალაშქრა ზამთრის სასახლე, ვინც დასაბამი მისცა ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის პროცესს.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ტაჯიკეთი, წინათ მიყრუებული განაპირა მხარე გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა, თანამედროვე სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. ბალ-ვენახებით დაიფარა უწყლო უდაბნოები. ვახშის ჰიდროკვანძმა მთელი არემარე გადაქცია წმინდაბოჭკოიანი ჯიშის ბამბის უდიდეს მწარმოებლად, სუბტროპიკული ბაღებისა და ზვრების მხარედ.

ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲕᲣᲬᲧᲝᲑᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ

Ბ. ᲞᲐᲚᲐᲔᲕᲘ,

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

აბა, გაიარეთ დღეს ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში! ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მზეთუნახავი ქალაქი ქვითკირით ნაგები ყიშლაღის ადგილზე გაჩნდა. ოქტომბერს უმაღლიან თავიანთ დაბადებას ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ქალაქებიც, როგორიც არის ნურეკი, იავანი, როგუნი, ტაჯიკ ქიმიკოსთა და ჰიდრომშენებელთა ცენტრები.

ყოველივე ეს ხორცშესხმული ნაყოფია იმ ხალხის აღმშენებლობითი შრომისა, რომელმაც შეიგრძნო თავი მშობელი მიწა-წყლის ბატონ-პატრონად და დღეს ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია ყოველნაირად განვუმტკიცოთ ეს გრძნობა თითოეულ კოლექტივს, ყველა მშრომელს. საიდუმლო როდია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში თავი იჩინა უძრაობის მოვლენებმა, ბევრგან მზრუნველი მიდგომის ნაცვლად ვხედავდით გულგრილობას, საზოგადოებრივ პასიურობას. განახლების ჭარმა დაგვიბრუნა ის, რითაც დაიწყო ხაბჭოების ისტორია, — გრძნობა პირადი პასუხისმგებლობისა ყოველივე იმისათვის, რაც ქვეყანაში ხდება. სულ უფრო მეტად მკვიდრდება მასებში უბრალო და ბრძნული აზრი — წესრიგს ჩვენს საერთო სახლში დავამყარებთ მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით, ამ ძალისხმევას კი ყოველი ჩვენგანის გარჯა ქმნის.

ძალზე ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და უნდა გააკეთონ ამისათვის ხაბჭოებმა, რომელთა მუშაობაში უკანასკნელ ხანს ბევრი სიახლე გაჩნდა. გვახარებს, რომ ხალხის რჩეულნი სულ უფრო ხშირად სვამენ ადგილობრივი საბჭოების სესიებზე თვით ცხოვრებით ნაკარნახევ არატრადიციულ საკითხებს. ეს არის მხარის ბუნებრივ სამდიდრეთა უფრო რაციონალური გამოყენებაც, გარემოს დაცვაც, სოფლად იმ მცირე სამრეწველო წარმოებათა შექმნაც, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებას, — ამას ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დეპუტატთა ბევრი წინადადება ედება საფუძვლად ფართო მასშტაბის პროგრამებს. ასე მივიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ტაჯიკეთის მთისა და მთიანწინეთის რაიონებში დაჩქარებით შეგვექმნა მსხვილი მეკარტოფილეობის ზონა. ეს ჩვენს რესპუბლიკას შესაძლებლობას მისცემს უკვე 1990 წელს, როგორც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული, მთლიანად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება საკუთარი წარმოების კარტოფილით.

ქვეყნის მებამბეობის რეგიონებში ფართო რეზონანსი პოვა ტაჯიკეთის მიწათმოქმედთა გამოცდილებამ — ისე აიღონ მოსავალი, რომ მეცადინეობას არ მოაცდენონ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. როგორც ცნობილია, ეს გამოცდილება მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ თაოსნობის ინიციატორებად მატჩის, იავის, მთელი რიგი სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად გამოვიდნენ ადგილობრივი საბჭოები. დეპუტატთა მოწოდებით ბამბის კრეფაში ჩება სოფლების მთელი შრომისუნარიანი მოზრდილი მოსახლეობა. და უნდა ითქვას, რომ ყოველგვარ მამობილიზებელ ლოზუნგებზე უკეთ ჭრიდა თვით დეპუტატების პირადი მაგალითი.

ფართოდ გავრცელდა იმ საყიშლაღო საბჭოს ხალხის რჩეულთა თაოსნობაც, რომელიც ტაჯიკეთში პირველი რევკომის თავმჯდომარე ქალის ზეინაბ ბიბის სახელს ატარებს, — გადააქციონ ლენინის რაიონის სოფლები სანიმუშოდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. მართლაც, გაგიხარდება დღეს, როდესაც გაიარ ამ ყიშლაღების კეთილმოწყობილ ქუჩებსა და მწვანე სკვერებში, შეხვალ ხელმადლიან ოსტატთა მიერ კოხტად გაფორმებულ კლუბებსა და ბიბლიოთეკებში. არადა, საამისოდ განსაკუთრებული სახსრები არ დახმარებიათ. ადგილობრივმა საბჭომ მოკავშირედ გაიხადა ხაშარი — მამითადი, ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილებით შემოწმებული ჩვეულება.

უმჯობესდება ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაციული ფორმებიც. თანდათან პოულობს აღიარებას ბევრისათვის უჩვეულო სესიები, სადაც არ არიან ტრადიციული მომხსენებლები. სამაგიეროდ იმართება საერთო დაინტერესებული სკკ-ბაახი ყველაზე მწვავე, მტკივნეული საკითხების შესახებ. ნორმა ხდება „აღსარულელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომების მოწყობა. გაცხოველებული დისკუსიები იმართება „ლია წრილის დღეებში“, სხდომებზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბისა „წყდება ადგილზე“.

რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი წრიდან ასახელებენ ავტორიტეტულ ხელმძღვანელებს და ამასთანავე მკაცრად მოჰკითხავენ პასუხს იმათ, ვინც არ გუმმართლებს ნდობას, შეარცხვენს ხალხის რჩეულის სპატიო წოდებას. დემოკრატიის პრაქტიკული განხორციელების მკაცრი, მაგრამ ჭკუისასწავლებელი გაკვეთილი გახდა დეპუტატთა გამოხმობა რესპუბლიკის კოლხოზადის, ზაფარობოდის რაიონებში. მრავალი წლის მანძილზე ადგილობრივი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელი „სახელს“ იმით იკეთებდა, რომ აღრიცხვას უმალავდა ბამბით დათესილ ნაკვეთებს. დეპუტატთა მანდატები დაკანონებინეს იმათაც, ვინც წამატებებს მისდევდა, ვინც ნათესობისა და პირადი ერთგულების პრინციპით აწინაურებდა ადამიანებს...

შეიძლება ზოგმა თქვას მეტისმეტად ბევრს ხომ არ ლაპარაკობთ ნაკლოვანებებზე „საიუბილეო“ ყანრის სტატიაში? პასუხად მოგაგონებთ ლენინის ცნობილ გამოთქმას: რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო ხერხია მთელი ყურადღება მივაპყროთ გადასაწყვეტ საკითხებს. ისინი კი ძალზე ბევრი გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ახლა ვუყურით საძირკველს გარდაქმნას. მთავარი სამუშაო წინ გვიძევს.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲣᲝᲑᲔᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ

Მ. ᲙᲐᲜᲝᲚᲐᲢᲘ,

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისლაურეატი.

ᲓᲠᲝᲘᲡ მასშტაბს ადამიანის ნაღვაწი განსაზღვრავს. გახედეთ ჩემს მიწა-წყალს, რომლის სახელიც სულ სამოცდაათი წლის წინ შეიტანა მსოფლიო რუკებზე დიდმა ოქტომბერმა. მას სერავენ თანამედროვე საავტომობილო გზატკეცილები, ყველგან გაშლილია ბამბის ზღვა, მთის ფერდობებს შეფენია ზვრები, აყვავებული ბაღები, ახალშენი უბნები.

ათასობით წელიწადს მოედინებოდა ჩემს მიწა-წყალზე მდინარეები, რომლებსაც შეეძლოთ ელექტროსინთეზით გაეჩახჩახებინათ მთელი შუა აზია, მიეცათ ენერგია ქარხნებისათვის, წყლით გაეძღოთ სახნავ-სათესი. და ათასობით წელიწადს იყო იგი მზით გადახრუკული, გაქვავებული და ბერწი, სანამ ძალას არ შთაბერავდა თავისუფალი შრომისათვის გაღვიძებული თავისუფალი ადამიანი.

დღეს ჩემი თანამემამულენი ადნობენ უმაღლესი ხარისხის ალუმინს — მას დიდად აფასებენ საბჭოთა სპეციალისტები და მათი ჩეხოსლოვაკიელი, პოლონელი, უნგრელი კოლეგები. სხვადასხვა მისამართით იგზავნება ტაჯიკეთის საწარმოთამამკვანი ჩარხები, ბამბა, აბრეშუმი, ხილი. ყოველივეს, რაც კი რამ გაგვაჩნია, ვუწილადებთ ქვეყანას — ოდითგან ასეა დამკვიდრებული ყოველ კარგ ოჯახში. რუდაქის, ტაჯიკური კლასიკური პოეზიის მამამთავარს, უთქვამს: „მეგობრობაა ამ ქვეყანაზე მთავარი განძი და სილამაზე“. დიახ, ჩვენ ვემეგობრებით რესპუბლიკებსა და ოჯახებს, ქარხნებსა და კოლმეურნეობებს, ლიტერატურებსა და თეატრებს, გვასულდგმულებს საერთო სიხარული და საზრუნავი.

საუკუნეთა სადარია ჩვენი შეიდი ათწლეული. მაგრამ დღევანდელობის ნორმა, მისი განსაკუთრებული საზომია დაჩქარება, ნოვატორობა. გეგმების მასშტაბურობა აზრებისა და მოქმედების ენერგიას მოითხოვს. დრო ტემპს აჩქარებს. რევოლუციურ ცვლილებებს ახალი მიღწევებით ავნიშნავთ. ოქტომბრის წინსვლა გრძელდება.

ᲒᲐᲙᲕᲛᲗᲘᲚᲘᲐ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲚᲑᲐᲗ ტაჯიკეთში არ მოიძებნება ადგილი, სადაც არ იცნობდნენ ოზოდი უსტობაევს. მას რესპუბლიკაში სამართლიანად უწოდებენ მასწავლებელთა მასწავლებელს.

პირველი დღეებიდანვე მისი საკუთარი ბედი ლეგენდად იქცა.

...1927 წლის 1 მაისს ძველი ურატუბეს ალისფრად მორთულ მოედანზე მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულზე მამაკაცებთან ერთად პირველად გამოვიდნენ ქალებიც. და აი, ერთ-ერთი ჩადრიანი ქალი ტრიბუნაზე ავიდა და მკვეთრად ჩამოიძრო სპეულველი საფარველი. გაისმა მისი ზარივით წკრიალა ხმა: „ამხანაგებო! როგორც იქნა, ჩვენც ადამიანებად ვიქეცით! ბოლო მოეღო მონობას, ტანჯვას!“. ადამიანები მოჯადოებული შესცქეროდნენ უმშვენიერეს ნორჩ სახეს. ამიერიდან ისინი სამუდამოდ დაიხსომებენ მასაც და ამ მამაცი ქალის — ადოლათ უსტობაევას სახელსაც. და ყველანი ერთად მის შვილს დაარქმევენ ოზოდის, რაც „თავისუფლებას“ ნიშნავს. ამ ამაყ სახელს მიიღებს ბიჭუნა, რომელსაც წოთელ ტოლოში გახვეულს მაღლა აწევენს ყველას კომკავშირელთა წინამძღოლი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ



● ᲓᲐᲜᲖᲑᲐᲠᲘᲜᲘᲡ გვირაბმშენებელთა კოლექტივში დაწინაურდა ჰ. შერნაზაროვი; ● პიანჯის რაიონის „პრავდის“ კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის სახალხო თვითმოქმედი ანსამბლის „იმედის“ წევრები; ● ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი დუშანბეში; ● კუმსანგირის რაიონის ლენინის სახელობის ინტერნაციონალური კოლმეურნეობის გამგეობის წევრები საკვები კულტურის ყანაში. ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ფოტოქრონიკა.

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ დედაქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობებს შორის ქალაქელები უთუოდ დაასახელებენ ახალ საცხოვრებელ სახლს, რომელიც პროფკავშირთა პროსპექტზეა აღმართული. მას „მაღლივს“ უწოდებენ — ეს არის დუშანბეში აგებული პირველი 16-სართულიანი შენობა.

— რა თქმა უნდა, ამაში გასაოცარი არაფერი იქნებოდა, ახალი ნაგებობა ცხრამალიანი მიწისძვრის ზონაში რომ არ აგებულიყო, — აღნიშნა ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის სეისმომედეგური მშენებლობისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა საბიდ ნეგმატულაევმა, სანამ ბოლო სართულამდე ავიდოდით, რათა გადასახედი მოედნიდან დაგვეთვალიერებინა ქალაქი. —ხედავთ, ჩვენი ტრადიციულად დაბალსართულიანი დედაქალაქი ზევით მიიწევს. მისი ტერიტორიის გაფართოება არ შეიძლება, — მაშინ საგარეუბნო მეურნეობებისათვის ნაყოფიერი მიწის წართმევა მოგვიხდებოდა. მოსახლეობა კი იზრდება — უკვე ნახევარ მილიონს გადააჭარბა. ამიტომაც უკვე პეიზაჟს ამშვენებს 12 სართულიანი სახლების უბნები. ეს ჩვენ, სეისმოლოგებს, სამუშაოს გვიმატებს.

მართლაც, ტაჯიკეთში, სადაც წელიწადში ორი ათასამდე მიწისქვეშა ბიძგი აღირიცხება, უსაფრთხოებისა ერიც ერთი ნაგებობა ვერ აშენდება. აი, რატომ არის რომ სეისმოლოგია რესპუბლიკაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა, ხოლო ინსტიტუტი შუა აზიისა და აღმოსავლეთის რეგიონალური სეისმოლოგიური ცენტრი გახდა. მის შუაგულშია სადგური „დუშანბე“, რომლის მგრძნობიარე ხელსაწყოები აღნუსხავენ უმცირეს რყევასაც და ბიძგებს ამ ვეებერთელა მხარეში, ხოლო ინფორმაციის ავტომატური შეგროვების სისტემის მეოხებით აქ ისინი მის „სიღრმივ“ პორტრეტს ხატავენ.

— შეიძლება თუ არა მიწისძვრის თავიდან აცილება? კითხვა, რა თქმა უნდა, ამაოა, — თქვა

ᲡᲐᲜᲐᲛ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲗᲕᲚᲔᲑᲘ...

ს. ნეგმატულაევმა. — მაგრამ ვისწავლოთ მათი პროგნოზირება, ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რას გვიპირებს გამოღვიძებული პლუტონი, სჯირო და აუცილებელია, და მისთვის წინაღმდეგობის გაწევაც. აქ საქმე ეხება ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სეისმური მშენებლობის რეკომენდაციების შემუშავება გამოიყო ახალ სამეცნიერო მიმართულებად — ჰუმანიტარულ სეისმოლოგიად. ეს მუშაობა წარმოებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელ კოლეგებთან მჭიდრო კავშირით. მიწისქვეშა სტიქიას ისინი სულ უფრო აქტიურად უპირისპირებენ მეცნიერული აზრის ძალას, რომელიც საინჟინრო გაანგარიშებაზეა გამრავლებული.

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘ

ᲢᲐᲯᲘᲙᲣᲠᲘ ᲧᲐᲕᲐ

ᲛᲐᲠᲗᲝ ტრადიციული სტუმართმოყვარეობის გამო როდი მიართვეს ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტში საკვესის კორესპონდენტს ყავა: სურნელოვანი სასმელი დამზადებული იყო ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე მიღებული პირველი მოსავლის მარცვლებისაგან. აქ სწავლობენ მშრალი სუბტროპიკების პირობებში ახალი კულტურების მოვლა-მოყვანის შესაძლებლობებსა და მეთოდებს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ზაფხულის ტემპერატურის ჯამი სავსებით საკმარისია ყავის მარცვლების დამწიფებისათვის. პრობლემა არის ის, თუ როგორ შეინარჩუნონ სითბოსმოყვარული ხეები ზამთრის თვეებში, როცა ხშირია სუსხი. ამიტომ ჯერჯერობით ამ მცენარის მოშენება სათბურებში არის მიზანშეწონილი. სწორედ ასეთი მეთოდი გამოიყენეს თავის დროზე ციტრუსების აკლიმატიზაციისათვ ის. ახლა ლიმონის კრეფით ტაჯიკეთს პირველი ადგილი უკავია ქვეყანაში. მან გაუსწრო შავიზღვისპირეთის მეციტრუსეობის რაიონებს. ეს იმედს გვინერგავს: მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ დროის საკმეა ყავის სამრეწველო პლანტაციები.

ᲤᲘᲪᲮᲘ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ

ᲤᲚᲝᲥᲕᲔᲑᲘᲡ თქარათქური გაისმა აშტის მასივის ყამირ მიწებზე: მხარეში, რომელიც განთქმულია ბამბითა და ხიტით, გაჩნდა ახალი დარგი — მეცხენეობა. სირდარიის ნაპირზე მდებარე სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის რემში ყარაბირის ჯიშის 380 ბეღაურია. მეურნეობა, რომელსაც ორი ათასი ჰექტარი საძოვარი აქვს, მთის ფერდობებზე ზრდის ცხენებს რესპუბლიკის სხვადასხვა ოლქისათვის, იღებს კუმისს, გამოაყავს ჯიშიანი ბეღაურები სპორტული კლუბებისათვის.

ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ

ᲮᲐᲠᲮᲜᲘᲠᲘ სიმღერების თაიგული მიართვა მაყურებელს ტაჯიკეთის ფიზარმონიის ანსამბლმა შემოქმედებითმა კოლექტივმა — ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა. აღსანიშნავია, რომ ანსამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა — რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მომღერალმა ზაფარ ნოზიმოვმა სპეციალურად ჩაბარა ფიდოლეგიის ფაკულტეტზე, რათა პროფესიულ დონეზე მოეკიდა ხელი ხალხური ხელოვნების შესწავლისათვის, რომელიც ითავა მრავალი წელია გატაცებულია. ბალეტმაისტერთან — რესპუბლიკის სახალხო არტისტ გაგხარ მირჯუმაევასთან ერთად, რომლის შემოქმედებას კარგად იცნობენ შუა აზიის რესპუბლიკებში, მან მოიარა შორეული კუთხეები, აგროვებდა ტანსაცმელებს. ახლა ანსამბლში ორმოცდაათზე მეტი მსახიობია.

ამჟამად რესპუბლიკაში 10 პროფესიული თეატრია. მათ შორის არის პოპულარული ტაჯიკეთის ა. დასუტის სახელობის დრამის (აკადემიური თეატრი, ტაჯიკეთის ს. აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, ხოროგის ა. რუდაქის სახელობის მუსიკალური კომედიის საოპერო თეატრი, რომლის რეპერტუარში, ტაჯიკი ავტორების პიესების გარდა შედის რუსული და ევროპული კლასიკა.

პატარა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოქმედებს 21 სახალხო თეატრი, რომლებიც აერთიანებენ იმათ, ვისთვისაც მეორე მოწოდება გახდა სასცენო ხელოვნება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲗ

ᲓᲣᲨᲐᲛᲑᲔ „სპეცავტომატიკის“ ქარხნის მომმარაგებლებმა უარი თქვეს ჩვეულებრივ პრაქტიკაზე „მეტი წაიღე — გამოგადგება“. ახლა მათ აღარ სჭირდებათ ერთი წყით აღრე მისცენ შეკვეთები, მიალებინონ ისინი მრავალ ინსტანციას. შეკვეთების გაფორმების საფუძველია მკაცრი ფონდები, საწარმოო გეგმა და სახსრები ბანკში. ინიციატივას მხარი დაუჭირეს: მომარაგების ახალ ფორმებზე გადავიდა 110 საწარმო, ხოლო რესპუბლიკის სახმომარაგების ორგანოებმა გამოავლინეს და ბრუნვაში მოაქციეს მილიონი მანეთის „გაყინული“ მატერიალური ღირებულებანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ, ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

◆ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ და ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის მრავალ დარგში.

◆ ᲩᲕᲔᲜᲘ მკითხველები კარგად იცნობენ შაპრედინ აზიზის, საადრიდინ აინის, ჯალილ იკრამის, მიემინ კანოათის, ნიაზის, ფ. სულაიმონის, რ. ჯალილის და სხვათა პროზაულ თუ პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც თარგმნეს ბ. შალვაშვილმა, ზ. მედულაშვილმა, მ. თოდუამ, მ. კიკნაძემ, ე. კეკელიძემ, ა. გვახარიამ, ნ. ხოფერიკმა და სხვებმა.

◆ ᲢᲐᲯᲘᲙᲘ მკითხველების მოწონება დაიმსახურეს მათ მშობლიურ ენაზე თარგმნილმა „ევფხუნტყაოსანმა“, გ. აბაშიძის, ნ. დუმბაძის, მ. ქვლივიძის და სხვათა ნაწარმოებებმა.

◆ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ ამ ორი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებს. საქართველო ტაჯიკეთს აწვდის მტვერსასრუტებს, ლაქსალებავებს, ელექტროშესადუღებელ აპარატებს, ძალოვან ტრანსფორმატორებს და სხვა ნაწარმს.

◆ თავის მხრივ ტაჯიკეთი გვიგზავნის სავაჭრო მოწყობილობებს, შუქტექნიკური ნაწარმს, კაბელებს, აზბესტცემენტის მილებს, და სხვ.

ᲡᲐᲓᲠᲘᲓᲘᲜ ᲐᲘᲜᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ

მე, ჩირადანო სამართლისა და სიმართლისა,
საიდან მოხველ, სასურველო, სვეტო ნათლისა,
გადაეშორე შენ სამყაროს ბნელი, წკვარამი,
გზა გაგვინათე, მოგვიშუშე ძველი ვარამი.
ვინაც მრავალი დაეწია მშრომელს სიავე —
ცეცხლებრ მოედე, მათი ფერფლი გაანიავე.
ძველი ქვეყნისთვის შენ იყავი მეორედ მოსვლა,
შენ ხარ ის, ვინაც ტანჯულ მშრომელს ბორკილი
მოხსნა.
ვინც ღმერთს ჰფიცავდა, ღმერთი ჭირში ვერ
მიიშველა
და თავად გახდა მათხოვარი და ფეხშიშველა.
მსგავსი დიდება, ბრწყინვა, ძალა, შემობრუნება
არსად გვინახავს, ქვეყანაზე არ გვეგულება.
შენ გვასხივოსნებ, უკვდავ შუქით გულებს იზიდავ,
ჩვენი სატრფო ხარ, მზით ხარ სავსე და მაისითა.
მშრომელი ხალხი ათას ჩაგვრის იყო მნახველი,
შენ გადაყარე, ოქტომბერო, სანამ ნაღველი.
ძალმომრეობამ ცეცხლითა და მახვილით ბევრი —
ჰოი, რამდენი! — სისხლიანი გალეწა კვერი.
ხანამ შენ მოხველ, ოქტომბერო, წითელ მაზარით
და მლიქვნელთა და ფარისეველთა დაეც თავზარი.
ამიერიდან ყველა ნატანჯ, მოყვარულ გულებს
შენ გაუძღვები, იერთგულებ და უერთგულებ.
სამყაროს გზებზე გაახჯეს მძლე მეომარი
და სულ იქნები, სანამ თავად სამყარო არი.

ტაჯიკურიდან თარგმნა ᲖᲔᲜᲘᲗᲐ ᲛᲔᲓᲔᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲡᲐᲒᲚᲕᲐᲠᲖᲔ

ᲐᲠ უყვარს ანვარშო დილბაროს, როცა ამ მიწებს ძველებურად „შავ ქვეშას“ უწოდებენ.

— რაღა შავია, თუ ბამბა ხარობს? — უკვირს მას. — და ამ გაზაფხულზე აქ. ამ კულტურას ახალი ჰექტარები დაუთმეს.

ანვარშო ყურს უგდებს ნათესებში წყლის მომწოდებელი ელექტრომოტორის თანაბარ გუგუნს.

— ახლა იქაც მუშაობენ ძრავები, — გაიხედა მან ავლანეთის საზღვრისკენ. დილბაროვმა კმაყოფილებით გაიღიმა და დასძინა: — ჩემი ელექტროგადამცემი ხაზით დენი მიემართება.

ყველა საფუძველი აქვს დილბაროვს საკუთარი უწოდოს ახალ ელექტროგადამცემ ხაზს, რომელიც ტაჯიკეთიდან ენერგიას აწვდის მეზობელ ქვეყანას: იგი მართო ელექტროგადამცემ ხაზს ორდი ემსახურება. კრიზისულ მომენტში, როცა მემონტაჟეებს თავს დაატყდა ამ ადგილებისათვის უჩვეულო ქარბუქი, ანვარშომ პირადი მაგალითით დარაზმა ადამიანები სტიქიის წინააღმდეგ, როგორც მეთაურმა შტაბის დროს. მაგრამ დეკემბრის იმ დღეების შესახებ სამხრეთის ელექტროქსელების საწარმოს ხაზის სამსახურის უფროსი აღარაფერს მოგვიყვა.

— ასეთი სამუშაო გვაქვს, — ესღა თქვა მხოლოდ და ხმა აღარ ამოუღია. სუსხიან ქარზე, რომელიც დასეირნობს ათობით მეტრი სიმაღლის ანძაზე, სადაც სადენებს ამონტაჟებდნენ. მოგვიანებით ვასილ მახოვიკოვის ბრიგადის წევრებმა — მისმა მეგობრებმა გვითხრეს, რომ ტაჯიკეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ა. დილბაროვი ავლანეთში მსახურობდა და შინ დაბრუნების შემდეგ ამ ელექტროგადამცემ ხაზზე ჩამოვიდა სამუშაოდ, როცა ის მძვინვარე ქარბუქი ატყდა, მოვიდა ბრიგადაში და უბრალოდ მოგვიყვა მოძმე ქვეყანაში სამსახურის, ავლანელი დეჰკანების შესახებ, რომლებიც ცდილობენ აღორძინონ მიგდებული მიწები. მახსენდება როგორ სულგანაბული და უნდობლად ისმენდნენ გლეხები მთის გადაღმა, ჩვენს ქვეყანაში ბედნიერი ცხოვრების ამბავს და ოცნებობდნენ წყალსა და სინათლეზე, თავიანთ სახლში მშვიდობაზე.

„დროზე ჩავაბარებთ ინტერნაციონალურ მშენებლობას!“ — გადაწყვიტეს ექსპლოატაციის მუშაკებმა, რომლებიც სხვადასხვა გარემოების გამო მშენებლები გახდნენ. და დანაპირები შეასრულეს.

— ჩემთვის ეს ხაზი მარტო საინჟინრო ნაგებობა კი არ არის, — ამბობს ანვარშო. — ეს არის ხიდი, რომლითაც მეგობრობის კეთილი შუქი მიემართება.

ᲓᲦᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔ

ᲡᲬᲝᲠᲘ და ხატოვანი სახელი უწოდა თავისი ლექსების ახალ კრებულს ტულერუსორ საფიევამ — „დღის სარკე“.

— ლექსებში მინდოდა მეამბნა ჩემს კუთხეზე, დედამიწასა და ადამიანების სულში მოსულ გაზაფხულზე, — თქვა ახალგაზრდა მწერალმა ქალმა.

„რევოლუცია — აი ადამიანის ბედნიერება“ — ამტკიცებს პოეტი ქალი. და მასთან ერთად — მილიონობით მისი თანამედროვე, რომლებმაც მოიპოვეს ამაყი უფლება — განაგონ თავიანთი ბედი.

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ

ᲡᲐᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘ მოუმატა მეცნიერებს პამირისათვის უჩვეულო მოვლენამ: ვომარდარის ხეობაში გაქრა... მყინვარი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ბრწყინავდა მზეზე ზღვის დონიდან ოთხი კილომეტრის სიმაღლეზე. მის ადგილას გადაიშალა ტბა, რომელიც გულმოდგინე დაკვირვების ობიექტი გახდა.

— საქმე ის არის, რომ ეს მოულოდნელი წყალსაცავი თავისი უზარმაზარი მასით თითქოს დაეწვა ყიშლაღებს, — თქვა „ტაჯიკეთაერონავიგაციის“ გაერთიანების ავიაციის ... ლუმა დირექტორმა მ. იშანოვმა. — წყლის დამკავებელი ზღუდარი მცირდება: ტენი, რომელიც მის სიღრმეში აღწევს, რეცხავს ბუნებრივ კაშხალს

ეკონომიკა • ფინანსები • მოგზაურობა

უმაღლესი სკოლის საზრუნავი

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების სამსახურში

ეკონომიკის სფეროში უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე წარმოშობილმა მწვავე წინააღმდეგობებმა აუცილებელი გახადა სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების სამეურნეო მექანიზმის ძიება. ანალოგიური გარემოების გამო განათლების სფეროში საჭირო გახდა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც, სახალხო მეურნეობის დარგობრივი და პროფესიული სტრუქტურის შესაბამისად, საფუძვლად დაედება უმაღლესი განათლების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების რაციონალურ მომზადებას, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო სისტემის შემადგენელ ნაწილს სპეციალისტთა მომზადების რაციონალური მართვის მექანიზმის მოძებნა გაცილებით ადრე საჭიროებდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი: 60-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად დაირღვა ოპტიმალური თანაფარდობა კადრების მიწოდებასა და მოთხოვნათა შორის. დიპლომიანი კადრების არარაციონალური კვალიფიკაციური სტრუქტურის გაუთვალისწინებლად, ტენდენციად ჩამოყალიბდა, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ტვირთად დაეწვა საზოგადოებას;

მეორე: სპეციალისტთა კადრების მომზადების ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად ჩამორჩა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს, დაირღვა წარმოების ნივთობრივ და პიროვნულ ფაქტორებს შორის შესაბამისობის ობიექტური კანონის მოთხოვნა. დიპლომი, არც თუ იშვიათად, ვერ ასახავდა და ვერ ასახავს მასში აღნიშნული კვალიფიკაციის ხარისხს, ამდენად, თვით დიპლომს მოსთხოვა საზოგადოებრივმა წარმოებამ ხარისხის ნიშანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ სამართლიანად არის გამახვილებული ყურადღება წარმოების როლის გაძლიერებაზე სპეციალისტთა მომზადებაში. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა ამ ეტაპზე ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორად ყალიბდება. ეკონომიკური ეფექტიანობა, ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობა, ეს ეკონომიკური ეფექტიანობა, ეს ეკონომიკური ეფექტიანობა, ეს

გავხადოთ ცხოვრება პლანეტაზე უფრო სამართლიანი

(დასასრული)

ნმიცდია ჩემს სიცოცხლეში, კოლოსალური სიამოვნება მივიღე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას რაც შეეხება, პირველად არ ვეცნობი მის გამოსვლას — წამიკითხავს, კერძოდ, მისი მოხსენება კომუნისტური პარტიის შარშანდელ ყრილობაზე. ბევრი იმთგანი, ვისაც ამ თემაზე ველაპარაკე, სრულიად არ ელოდა პოლიტიკური ხელმძღვანელისაგან ასეთ თვითკრიტიკულობას საშინაო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა მიმართ და გალებული შეიარაღების მკვეთრ კრიტიკას. ვფიქრობ, თქვენი ხელმძღვანელობის თანამიმდევრულობა და შეუპოვრობა შესაძლებელს გახდის დასავლელი ობივატელების შეგნების ისეთ გარდაქმნას, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის მსგავსი იქნება.

კონგრესის თემატიკური ცენტრის მუშაობა გრძელდება... თემებს თვით დისკუსიების მიმდინარეობა უკარნახებს მონაწილეებს.

ქალთა მდგომარეობა ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიზმის ბარომეტრია. სანამ პლანეტა დაყოფილია კლასობრივ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეროვნულ საზღვრებად, მისი ისარი სულ მოძრაობს, უფრო მეტიც, ზოგან იგი ქარიშხალს აჩვენებს.

„ქალთა უფლებების დარღვევათა შესახებ მოსმენის“ ცენტრის ტრიბუნაზე პირველი ავიდა სამხრეთ კორეის ქალთა რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენელი კიმ სუნ იანგი. რომ არ გვახსოვდეს გერმანიის ფაშიზმის დანაშაულობანი, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა ის, რაც მან აუწყა კონგრესის დელეგატებს. ქვეყანაში, რომელსაც ორატორმა ამერიკის შეერთებული შტატების კოლონია უწოდა, სამხედრო დიქტატურა მოქმედებს. ეგრეთ წოდებული „სახელმწიფო უშიშროების კანონი“ საშუალებას იძლევა ყველა ადამიანში ჯაშუშს ხედავდნენ. მხოლოდ პოლიციელებს აქვთ რეალური უფლება — ჩაიხმონ ხალხის თავისუფლების უფლება. პროფკავშირული აქტივისტების ცემა-ტყეპა, საპყრობილეებში წამება — ასეთია დღეს სამხრეთ კორეა. „უდაბნოთა შორის ყველაზე უარესი“, როგორც დაახასიათა იგი ორატორმა. მაგრამ დიქტატურის მიმართ წინააღმდეგობა ძლიერდება. სამხრეთ კორეის ხალხს სწამს მომავალი გამარჯვება, თქვა მან.

პრეზიდიუმის მაგიდას უზის ქალთა უფლებების დარღვევათა გამოძიების ცენტრის სამუშაო ჯგუფი. მას მეთაურობს პოლეტ პერსონ-მატი, სამხრეთ აფრიკაში რასიზმისა და აპარტეიდის დანაშაულობათა გამოძიების საერთაშორისო კომისიის წარმომადგენელი, ბრიუსელის უნივერსიტეტის სამართლის მასწავლებელი. სხვადასხვა კონტინენტის იურისტი ქალებისაგან შემდგარი ჯგუფის ამოცანაა განიხილოს საჩივრები ზოგადი საერთაშორისო სამართლის პოზიციიდან. მოუსმენენ რა მრავალ ორატორს, სამუშაო ჯგუფის წევრები სვამენ კითხვებს და ყოველთვის სთხოვენ მათ წარმოადგინონ დამატებითი მასალები, რომელთა საფუძველზე სპეციალისტები გამოიტანენ ობიექტურ დასკვნას.

სიონისტთა ბოროტმოქმედების ახალი ფაქტები აღწყა მსოფლიოს პალესტინის ქალთა კავშირის წარმომადგენელმა ნადია კაიატმა, რომელმაც თავად გამოსცადა ისრაელის დილეგების კოშმარი. ამ სახელმწიფოს კომუნისტური პარტიის წევრმა მარა სური ჰასანმა მოიყვანა ისრაელში მცხოვრებ არაბთა დისკრიმინაციის ფაქტები და გამოიტანა დასკვნა: მთავარი გზა არის არაბი ხალხის უფლებათა აღიარება.

ქალთა უფლებებზე ილაპარაკეს სამხრეთ აფრიკასთან სოლიდარობის საღამოზეც.

საღამოს მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ ანგოლის, ავღანეთის, ნიკარაგუის, ნამიბიის ქალებს, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სახელით გამოვიდა მისი პრეზიდენტი ფრიდა ბრაუნი. მან თქვა, რომ ფედერაციამ ვინი მანდელა აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დაჯილდოვა ეძენი კოტონის სახელობის მედლით. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ორგანიზატორის საქმიანობასთან დაკავშირებული ეს საპატიო ჯილდო მან გადასცა მანდელას თანამებრძოლს — ქალბატონ ტამბოს და სთხოვა ჩაეტანა იგი მამაცი ქალისათვის, რომელმაც ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო კონგრესის მუშაობაში.

„განვითარების პრობლემები და ქალები“ კომისიის მუშაობისადმი ინტერესი გამოიჩინა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ბევრმა დელეგატმა. მათ ილაპარაკეს მილიონობით ქალისა და ბავშვის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, რომლებსაც არა აქვთ ტანსაცმელი და თავშესაფარი, მათ მუსრს ავლებს შიმშილი და სნეულებანი. უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ქალებს შორის, შრომის ანაზღაურების არათანაბარი მდგომარეობა, ელემენტარულ სოციალურ სიკეთეთა უქონლობა იმ პრობლემათა არასრული ნუსხაა, რომლებიც აღელვებთ დღეს კონგრესის მონაწილეებს, თავიანთი ქვეყნების განვითარების პრობლემებს რომ გავიხილავენ.

ლათინურამერიკელებისათვის კონგრესი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მათთვის უწინარეს ყოვლისა შიმშილის, ჩაგვრის, ქალთა უუფლებობის წინააღმდეგ ბრძოლაა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ბრაზილიელმა დელეგატმა მარსია დანგრემონმა. ბრაზილიაში უამრავი უსახლკარო ბავშვია! ვინ უნდა იბრძოლოს ამის წინააღმდეგ, თუ არა ქალებმა? ჩემთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩამოსულიყავი მოსკოვში, გავცნობოდი სოციალისტური რევოლუციის სამშობლოს, თქვა მან შემდეგ. მტკიცედ გვწამს, რომ სოციალიზმი — ეს არის ჩვენთვის ბევრი მწვავე პრობლემის გადაწყვეტა.

ტურისტის ცენტრალურ სახლში მუშაობს კომისია, რომელიც განიხილავს **ქალთა მდგომარეობის გაუჯობესების დარგის პერსპექტიულ სტრატეგიათა განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს.** ისინი შეიმუშავეს ორი წლის წინათ კენიის დედაქალაქში — ნაირობში გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ქალის ათწლეულის ლოგიკური გაგრძელება უნდა გახდეს, ხელი შეუწყოს მშვიდობის, პროგრესისათვის, ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის საბრძოლველად მათს დარაზმვას. მშვიდობა, თქვეს ორატორებმა, — ქალის, მაშასადამე კაცობრიობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ქალის მდგომარეობა არ უნდა განვიხილოთ ქვეყნებისა და ხალხების წინაშე მდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისაგან მოწყვეტით, განაცხადა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პოლიტიკური ორგანიზაციის ქალთა სექციის წარმომადგენელმა რახმატ პატემ. ამიტომ, თქვა მან, ჩვენ მსოფლიო გაერთიანების ყურადღებას კვლავ მივაპყრობთ ჩემს ქვეყანაში არსებულ აპარტეიდის სამარცხვინო სისტემას, რომელიც მთავარ დაბრკოლებას ქმნის სამხრეთ აფრიკის ქალთა მდგომარეობის გაუჯობესების გზაზე. მის გამოსვლას მხურვალედ დაუჭირა მხარი პალესტინელ ქალთა საყოველთაო კავშირის წევრმა მაიადა ინვაზირმა.

გარანტიები, რომლებსაც ქალი იღებს საზოგადოებისაგან, პოლიტიკურ და პროფკავშირულ საქმიანობაში მისი მონაწილეობა, აღზრდა და განათლება, ნარკომანიისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა, ხანდაზმულთათვის ზრუნვა — ესა და სხვა პრობლემებია **„ქალები საზოგადოებაში“** სექციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. იმას, თუ რამდენად აქტუალურია ეს საკითხები, მოწმობს თვით ქალების არათანასწორუფლებიანობა, რომელიც მათ მოქალაქეობრივი მოვალეობის სრული შესრულების შესაძლებლობას ართმევს, თქვა „მახილას“ — ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა სატიაპროკუშმა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სექციის მუშაობას. აქ გულახდილი და მეგობრული დისკუსიის დროს თავისუფლად შეიძლება აზრის გაზიარება ყველა საინტერესო საკითხზე. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს მის ყველა მონაწილეს, თქვა მან.

მწვავედ მიმდინარეობდა დისკუსია კომისიაში, **„ქალები და შრომა“.** საუბარს ტონი მისცეს კაპიტალისტური ქვეყნების დელეგატებმა. რასაც უნდა შეეხებოდნენ ისინი, აუცილებლად ეროსა და იმავე საკითხს უბრუნდებოდნენ. კაპიტალის სამყაროში მშრომელი ქალის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც მამაკაცისა, მხოლოდ უფრო მძიმე.

მოიყვანეს დამაჯერებელი არგუმენტები.

ლათინური ამერიკის კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელთა სავალალო მდგომარეობაზე ილაპარაკა შეკესიკის წარმომადგენელმა ჰ. სანტოსმა.

დისკუსიის დროს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა, რომ 2000 წლამდე პერიოდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული ქალის ათწლეულის ლოგიკური გაგრძელება უნდა გახდეს, ხელი შეუწყოს მშვიდობის, პროგრესისათვის, ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის საბრძოლველად მათს დარაზმვას. მშვიდობა, თქვეს ორატორებმა, — ქალის, მაშასადამე კაცობრიობის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ქალის მდგომარეობა არ უნდა განვიხილოთ ქვეყნებისა და ხალხების წინაშე მდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისაგან მოწყვეტით, განაცხადა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პოლიტიკური ორგანიზაციის ქალთა სექციის წარმომადგენელმა რახმატ პატემ. ამიტომ, თქვა მან, ჩვენ მსოფლიო გაერთიანების ყურადღებას კვლავ მივაპყრობთ ჩემს ქვეყანაში არსებულ აპარტეიდის სამარცხვინო სისტემას, რომელიც მთავარ დაბრკოლებას ქმნის სამხრეთ აფრიკის ქალთა მდგომარეობის გაუჯობესების გზაზე. მის გამოსვლას მხურვალედ დაუჭირა მხარი პალესტინელ ქალთა საყოველთაო კავშირის წევრმა მაიადა ინვაზირმა.

გარანტიები, რომლებსაც ქალი იღებს საზოგადოებისაგან, პოლიტიკურ და პროფკავშირულ საქმიანობაში მისი მონაწილეობა, აღზრდა და განათლება, ნარკომანიისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა, ხანდაზმულთათვის ზრუნვა — ესა და სხვა პრობლემებია **„ქალები საზოგადოებაში“** სექციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. იმას, თუ რამდენად აქტუალურია სკოველ კინომოყვარულებს, ქართველი მსახიობის თაყვანისმცემლებს საშუალება ჰქონდათ კიდევ ერთხელ მოხიბლულიყვნენ სოფიკო ჭიაურელის ნიჭითა და ოსტატობით ფილმებში „ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ნატვრის ხე“, „ვერის უბნის მელოდიები“ და სხვა. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ჩემი თაობის დამრიგებელი

ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს მამია ვარშანიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა სიპატიო ნიშნის ორდენითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელით. ახლახან კი აჭარის საზოგადოებრიობამ პოეტს ბათუმში ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში საიუბილეო საღამო გაუმართა.

მამია ვარშანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენს სულიერ სამყაროში იმ დიდი ხის მძლავრი ტოტია, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში სამოციანელებმა აჭარაში რომ დარგეს ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მისი საიუბილეო საღამო არა მარტო პოეზიის მოყვარულთა, არამედ ქართული მხატვრული სიტყვის ზეიმიც იყო. რამდენიმე ათეული წელია ესმაღლესი ლირიკული ნამუშევრებით, ეროვნული ფესვებისა და ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილ ადამიანთა ურთიერთობის ფილოსოფიის ბრწყინვალე ინტერპრეტაციით, ეროვნული ფესვებიდან